ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება

N 1
28/02/2019

1-08-4-201902281604

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 დეკემბრის №37 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების, „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

ცვლილება შევიდეს ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 დეკემბრის №37 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge; 29/06/2017 სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი: 010250000.35.114.016416)

1.1. ამოღებულ იქნეს დადგენილების დანართის 22-ე მუხლი.

1.2. შევიდეს ცვლილება დადგენილების დანართის 34-ე მუხლის მე-3 პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით :

„3. გადაუდებელ შემთხვევაში, როდესაც აუცილებელია წინამდებარე წესის მე-13, მე-14, მე-15, მე-16 და მე-17 მუხლებით გათვალისწინებულ ბენეფიციართათვის გადაუდებელი სამედიცინო და გადაუდებელი სტაციონარული სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება და როდესაც დაყოვნებამ შეიძლება სავალალო შედეგები გამოიწვიოს, დახმარება შეიძლება გაიცეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით (ბრძანებით) საფუძველზე, რომლის გამოცემიდან ერთი კვირის ვადაში სამსახური ამზადებს წერილობით დასაბუთებას კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით“.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ზაალ მამალაძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ხელმძღვანელობა